კეთილსინდისიერების ამაღლების თვითშეფასების კითხვარი და კოლეგიური შეფასების პროცესი

ეროვნული თავდაცვის დაწესებულებებისთვის
განკუთვნილი შეფასების ინსტრუმენტი

შინაარსი

მოკლე მოხსენება 2

კეთილსინდისიერების თვითშეფასების განხორციელება 4

პროცესი 4

კეთილსინდისიერების ამაღლების თვითშეფასებისა
და კოლეგიური შეფასების პროცესის საკონტროლო
საკითხების ჩამონათვალი 7

განსაზღვრებები 10

კეთილსინდისიერება (integrity) 10

კორუფცია 10

კითხვარი 12

1. დემოკრატიული კონტროლი და ჩართულობა 12

2. ეროვნული ანტიკორუფციული კანონმდებლობა
და პოლიტიკა 14

3. ანტიკორუფციული პოლიტიკა თავდაცვისა და
უსაფრთხოების სექტორში 15

4. პერსონალი – ქცევა, პოლიტიკა, სწავლება, დისციპლინა 18

5. დაგეგმვა და ბიუჯეტი 21

6. ოპერაციები 23

7. შესყიდვები 24

8. ურთიერთქმედება თავდაცვით საწარმოებსა
და სხვა მიმწოდებლებთან 28

9. ეროვნულ თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები 29

დამატებითი ინფორმაცია 29

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

მოკლე მოხსენება

ეროვნული თავდაცვის მინისტრის, შტაბის უფროსის (ან მასთან გათანაბრებული პირს მიმართ) კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება ძლიერი, უნარიანი და ხელმისაწვდომი თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებისა და ძალების ჩამოყალიბების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტებია.

კორუფცია ასუსტებს თითოეული ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის უნარიანობას. კორუფცია იწვევს ფულადი სახსრების ფლანგვას, რესურსების არაჯეროვან განაწილებასა და შეუსაბამო, ან დაბალი ხარისხის აღჭურვილობის შესყიდვას. აღნიშნულმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას პერსონალის სიცოცხლეს და შეამციროს ოპერატიული ეფექტურობა. კორუმპირებული პერსონალი არ არის სანდო. ისინი მომავალში შეიძლება მოისყიდონ კონტრაქტორებმა, ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე პირებმა, ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, ან პოტენციურმა მტრებმა.

თავდაცვის სექტორში არსებული კორუფცია ამცირებს საზოგადოებრივ ნდობას და ზოგადად სამხედროების მიმართ კეთილგანწყობას და შეიძლება ძირი გამოუთხაროს სამშვიდო მისიების საზოგადოებრივ მხარდაჭერას. იგი ასევე ამცირებს სამოქალაქო სექტორებისთვის განკუთვნილ ეკონომიკურ რესურსებს და შეიძლება დააზიანოს ხელისუფლების საქმიანობის სხვა სფეროებიც. კორუფცია აფერხებს სახელმწიფოს განვითარებასა და წინსვლას.

ნატოს პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნების მხარდაჭერას კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების პრაქტიკული საშუალებების შემუშავებაში. პირველადი ძალისხმევა მიმართულია შემდეგი ელემენტების განვითარებისაკენ::

- კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების საუკეთესო პრაქტიკების კრებული;
- კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების სწავლების მოდული;
- კეთილსინდისიერების თვითშეფასების პროცესი.

თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერების სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების თვითშეფასება თავდაცვის ინსტიტუციური ამაღლების ერთ-ერთი საფუძველია. წინამდებარე კითხვარი წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს დახმარება გაგიწიოთ ასეთი შეფასების განხორციელებაში.

სათანადო ანტიკორუფციული პროცესების არსებობა ასევე იურიდიულ მოთხოვნას წარმოადგენს ნატოს ყველა მოკავშირე და პარტნიორი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციას

(UNCAC). კონვენცია ძალზე მკაფიოდ განსაზღვრავს ქვეყნების ვალდებულებებს. თავდაცვის დაწესებულებებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ ამ დოკუმენტით, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების საქმიანობის ამ კონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კითხვარის შევსება ნებაყოფლობითია. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პროცედურების თანახმად, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ თავიანთი პასუხების თითოეული გვერდის თავსა და ბოლოში გააკეთონ შესაბამისი საიდუმლოების გრიფის აღნიშვნა.

აღნიშნული თვითშეფასების პროცესი არის ინსტრუმენტი, რომლის გამოყენება, ჩვენის აზრით, სასარგებლო იქნება თავდაცვის თითოეული უწყებისათვის.

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

კეთილსინდისიერების თვითშეფასების განხორციელება

პროცესი

კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა არის ნატოს ხელმძღვანელობით მიმდინარე უნარიანობის ამაღლების პროგრამა, რომელიც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებისა და კორუფციის რისკების შემცირების საქმეში სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შეიმუშავებს პრაქტიკულ საშუალებებს. კეთილსინდისიერების ამაღლება ახალისებს საუკეთესო პრაქტიკას, პროცესებსა და მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფს თითოეულ სახელმწიფოზე მორგებულ მხარდაჭერას თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუციების ეფექტურობის ამაღლების მიზნით. კარგი მმართველობის დანერგვის მეშვეობით სახელმწიფოები ამართლებენ გადასახადის გადამხდელთა მოლოდინებს.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნატოს ყველა მოკავშირესა და პარტნიორს. სხვა ქვეყნებიდან შემოსული მოთხოვნები განხილულ იქნება ინდივიდუალურად.

კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა მოიცავს ინსტრუმენტების კრებულს, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს სახელმწიფოებს შეაფასონ მათთან არსებული კორუფციის რისკები და გააძლიერონ კარგი მმართველობა. პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და კეთილსინდისიერების ამაღლების მხარდაჭერა მორგებულია ეროვნულ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე.

თვითშეფასების კითხვარი

თვითშეფასების კითხვარის შევსება პროცესის პირველი ეტაპია. მისი შესრულება ნებაყოფლობითია. იგი წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც, დასრულების შემდგომ სახელმწიფოებს აწვდის პროცედუ-

რებისა და პრაქტიკის ამსახველ სურათს. იგი შეეხება თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე საქმიანობის არსებულ პრაქტიკას, და მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- დემოკრატიული კონტროლი და ჩართულობა
- ეროვნული ანტიკორუფციული კანონმდებლობა და პოლიტიკა
- ანტიკორუფციული პოლიტიკა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში
- პერსონალი - ქცევა, პოლიტიკა, სწავლება, დისციპლინა
- დაგეგმვა და ბიუჯეტი
- ოპერაციები
- შესყიდვები
- ურთიერთქმედება თავდაცვით საწარმოებსა და სხვა მიმწოდებლებთან
- ეროვნულ თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები

შევსებული კითხვარი იგზავნება ნატოს საერთაშორისო შტაბში, რომელიც პასუხისმგებელია კოლეგიური შეფასებისა და ქვეყნის შიგნით კონსულტაციების ჩატარებაზე. ნატოს ხელმმძღვანელობით მოქმედი კოლეგიური შეფასების ექსპერტთა ჯგუფი მიღებულ ინფორმაციას არ უზიარებს მესამე მხარეებს. ყველა მოქმედება და რეკომენდაცია, ისევე როგორც კოლეგიური შეფასების ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა კოორდინირებულია შესაბამის სახელმწიფოსთან.

კოლეგიური შეფასება და კონსულტაციები ქვეყნის შიგნით

შევსებული კითხვარი განიხილება შესაბამისი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კოლეგიური შეფასების ამოცანაა არსებული სიტუაციის უკეთ შეცნობა, საუკეთესო პრაქტიკასა და პრაქტიკულ ნაბიჯებზე ხედვების ურთიერთგაცვლა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების გაძლიერების მიზნით.

თითოეული კოლეგიური შეფასება ითვალისწინებს შესაბამისი ქვეყნის თავისებურებებს. დაბეჯითებით რეკომენდირებულია თვითშეფასების კითხვარის შემუშავებისა და კოლეგიური შეფასების პროცესში პარლამენტის წევრებისა და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და აკადემიური წრეების ჩართულობის უზრუნველყოფა..

კოლეგიური შეფასების ანგარიში

კოლეგიური შეფასების ანგარიში, რომელიც მზადდება თვითშეფასების შევსებული კითხვარებისა და მონაწილე ქვეყნების დედაქალაქებში გამართული კონსულტა-

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

ციების საფუძველზე, ადგენს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და ასევე შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდგომი მოქმედებებისათვის. აღნიშნული მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს ქვეყნებს კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ნატოს სხვა მექანიზმების გამოყენებაში. .

კოლეგიური შეფასების ანგარიში ძირითადად მოიცავს სამ სფეროს:



სამოქმედო გეგმა

თვითშეფასების კითხვარის შევსებისა და კოლეგიური შეფასების ჩატარების შემდეგ, მრავალი სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სამოქმედო გეგმას. ამ პროცესში ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია სრულად გამოიყენონ ნატოს რესურსები და პარტნიორობის ინსტრუმენტები. სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებენ ისარგებლონ ქვეყნის, ან რეგიონის შიგნით მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცოდნითა და გამოცდილებით. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს გამჭვირვალობისა და ადგილობრივი შესაძლებლობების ამაღლებას.

შეძლებისდაგვარად, კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა ინტეგრირებული უნდა იყოს ეროვნულ პროცესებსა და ნატოს პარტნიორობის მექანიზმებთან და მათთან თანხვედრაში მოქმედებდეს, მათ შორის ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამასთან, გაწევრიანების სამოქმედო გეგმასთან, პარტნიორობის დაგეგმვისა და შეფასების პროცესთან, ხოლო ავღანეთის შემთხვევაში „ხანგრძლივ პარტნიორობასთან“. აღნიშნული ასევე მოიცავს ისეთ მიმდინარე პროგრამებთან დაკავშირების შესაძლებლობების განხილვას, როგორიცაა საქართველოსა და უკრაინის პროფესიული განვითარების პროგრამა.

...და შემდეგ?

თვითშეფასების კითხვარების შევსების და კოლეგიური შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია გაასაჯაროონ შესაბამისი შედეგები. სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციასა და ეროვნული პოტენციალის ამაღლებაში ქვეყნებს დაეხმარება კეთილსინდისიერების ამაღლების რესურსები, მათ შორის დასაქმება და სწავლება (E&T).

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

კეთილსინდისიერების ამაღლების თვითშეფასებისა და კოლეგიური შეფასების პროცესის საკონტროლო საკითხების ჩამონათვალი

1. **შეფასების განხორციელებისათვის მაღალი დონის მანდატის მოპოვება.** მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირონ თვითშეფასების პროცესს. თანამდებობის პირს, რომელიც ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერების თვითშეფასების პროცესის მიმდინარეობას, ევალება დაადგინოს შეფასების მანდატი და შეათანხმოს იგი მინისტრთან, სამინისტროს ხელმძღვანელსა და შესაბამისად შეიარაღებული ძალების უფროსთან. შეფასების ოფიციალურ ინიციატორად უნდა დასახელდეს მაღალი დონის ოფიციალური პირი.

2. **თვითშეფასების განხორციელებისათვის ერთი პასუხისმგებელი პირის დანიშვნა.** კითხვარზე, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტსა და თანამდევ გეგმაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი ადამიანი.

3. **სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება სამინისტროს შემადგენლობიდან.** არ არის აუცილებელი სამუშაო ჯგუფის წევრები მოცემულ პროექტზე სრულ განაკვეთზე იყვნენ დასაქმებულები, თუმცა საჭიროა დადგენილი და შეთანხმებული იქნას რესურსები, რომელიც მოიცავს კადრებს, ფინანსებს, აღჭურვილობასა და სამუშაო ვადებს. სამუშაო ჯგუფი ავსებს კითხვარს, და ამის შემდგომ იკრიბება ნატოს ხელმმძღვანელობით მოქმედი საექსპერტო შეფასების ჯგუფის ვიზიტის შედეგად მომზადებული ანგარიშის განხილვის მიზნით.

4. **კითხვარის შევსება.** სახელმწიფო თავად წყვეტს, თუ რამდენად ფართო წრეში მოხდება კითხვარის შევსება. მაგალითად, შესაძლებელია კითხვარის სხვადასხვა თავების გამოცალკევება და მათი დაგზავნა შესაბამისი დეპარტამენტებისთვის თუ სამინისტროებისთვის; ან ყველგან კითხვარის მთლიანი ვარიანტის დაგზავნა, ერთ და იმავე შეკითხვებზე სხვადასხვა კომენტარების მიღების მიზნით. შესაძლოა კითხვარის გაგზავნა მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურების გარეთაც, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, ან აკადემიური წრეებისათვის განსხვავებული ხედვის გაცნობის მიზნით. შევსებული კითხვარი გადაგზავნილ უნდა იქნას ნატოში სულ მცირე ორი კვირით ადრე ვიზიტამდე. სახელმწიფოები იღებენ პასუხისმგებლობას შევსებული კითხვარის დასაიდუმლოების გრიფის განსაზღვრაზე. ნატოს ხელმძღვანელობით მოქმედი საექსპერტო შეფასების ჯგუფი ამ ინფორმაციას მესამე მხარეებს არ უზიარებს.

5. **ნატოს ხელმმძღვანელობით მოქმედი საექსპერტო შეფასების ჯგუფისთვის ინტერვიუების ორგანიზება.** ვიზიტი გაგრძელდება 2-3 დღის განმავლობაში და დაეთმობა ინტენსიურ შეხვედრებს. ინტერვიუების რესპონდენტები უნდა იყვნენ შედარებით მაღალი თანამდებობის პირები, რათა მათ შეძლონ კითხვარზე გაცემული პასუხების განხილვა. მართალია ამ საკითხს თავად ქვეყანა წყვეტს, მაგრამ, როგორც წესი, დიდ ქვეყნებში რესპონდენტები უნდა განეკუთვნებოდნენ საოფიცრო შემადგენლობის OF-4, ან OF-5 დონეს, პოლკოვნიკიდან ბრიგადის

გენერლამდე წოდების მქონე ოფიცრებს. რესპონდენტები უნდა წარმოადგენდნენ როგორც სამოქალაქო მოსამსახურეებსა, ასევე უფროს სამხედრო ოფიცრებს. დაბეჯითებით რეკომენდირებულია, ინტერვიუები ჩაუტარდეთ ისეთ ჯგუფებსაც, როგორიცაა პარლამენტის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და აკადემიური წრეები. ამ შემთხვევაში, ერთი გაფართოებული შეხვედრის ჩატარება შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს მრავალი მოსაზრების მოხერხებულად წარმოდგენის თვალსაზრისით (იხ. ქვემოთ უკრაინის მაგალითი).

6. **ნატოს ხელმმძღვანელობით მოქმედი საექსპერტო შეფასების ჯგუფი: ვიზიტის შესახებ ანგარიში.** ნატოს ხელმმძღვანელობით მოქმედი კოლეგიური შეფასების ჯგუფი ამზადებს ვიზიტის შესახებ ანგარიშს, რომელიც განკუთვნილია მასპინძელი ქვეყნის მიერ გამოყენებისათვის. ანგარიში მოიცავს: I) დაკვირვებებს საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელსაც ნერგავს ქვეყანა; II) დაკვირვებებს იმ სფეროებთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას; და III) განსახორციელებელი მოქმედებების თაობაზე რეკომენდაციებს. ნატოს საერთაშორისო შტაბმა შესაძლებელია გამოყოს დარგობრივი ექსპერტები თავდაცვის სამინისტროსთვის შესაბამისი ძალისხმევის განხორციელებაში დახმარების გაწევის მიზნით.

ქვეყნებს ეძლევა რეკომენდაცია თავიანთი შემდგომი მოქმედებები შესაბამისობაში მოიყვანონ ნატოს პარტნიორობის ისეთ ინსტრუმენტებთან, როგორიცაა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" დაგეგმვისა და შეფასების პროცესი და პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა.

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

საუკეთესო პრაქტიკა I: უკრაინა - არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან ღია შეხვედრის გამართვა

2008 წელს კეთილსინდისიერების თვითშეფასების საცდელი პროცესის განხორციელების ფარგლებში, უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების ეროვნულმა საბჭომ სხვადასხვა მოსაზრებების გაცნობის მიზნით მოაწყო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა ჯგუფებთან, რათა მოეხდინა ვიზიტით მყოფი ნატოს ჯგუფის ინფორმირება.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა სხვადასხვა ორგანიზაციამ, დაწყებული ჟურნალისტებით და ანტიკორუფციული ჯგუფების ჩათვლით, რამაც ჯგუფს მისცა შესანიშნავი შესაძლებლობა გაეცნო ადგილობრივი და არასამთავრობო პოზიციები ქვეყანაში არსებული სიტუაციის, პრობლემებისა და სამომავლო მოქმედებების შესახებ.

შეხვედრამ მოახდინა ღიაობის და გამჭვირვალობის დემონსტრაცია და გახდა პოლიტიკოსებთან, სამხედრო პერსონალთან და საჯარო მოსამსახურეებთან ჩატარებული უფრო ოფიციალური ხასიათის შეხვედრების ძალზე ფასეული დამატება. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პირისპირ დაფიქსირებულმა მოსაზრებებმა მანამდე გამართული პრეზენტაციებისა და ინტერვიუების შევსებისა და დაბალანსების პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

საუკეთესო პრაქტიკა II: ნორვეგია - ცნობარი

კეთილსინდისიერების თვითშეფასების პროცესის ნორვეგიულმა ექსპერიმენტმა 2008 წელს გამოავლინა საუკეთესო პრაქტიკის რამდენიმე სფერო, მათ შორის საჩივრების განმხილველი საბჭოების გამოყენება, შესყიდვების ელექტრონული პროცესის განვითარება და თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული თავდაცვის სექტორში ბიზნეს კონტაქტებთან დაკავშირებული ეთიკური ქცევის სახელმძღვანელო წესების ცნობარი (იხ. ქვემოთ)


ROYAL NORWEGIAN MINISTRY OF DEFENCE

Guidelines

Ethical guidelines regarding business contacts for the defence sector

April 2007

განსაზღვრებები

კეთილსინდისიერება (integrity)

კეთილსინდისიერების აღმნიშვნელ ინგლისურ სიტყვას "integrity" ერთდროულად ტექნიკური და მორალური მნიშვნელობა აქვს. [1]

- ტექნიკური თვალსაზრისით, ამბობენ, რომ ,,ამ გემის კორპუსი მთელია." ეს ნიშნავს, რომ მთლიანი სისტემა მუშაობს გამართულად - გემის გარე საფარი არ ატარებს წყალს და სხვადასხვა სისტემები, რომლებიც მას ქმნიან და რომლებზედაც დაფუძნებულია კორპუსი, საღია და გამართულად ფუნქციონირებს.

- პირადი და მორალური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ სამუშაო შესრულდა პატიოსნად და ჯეროვნად, და არ არის შელახული.

ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, კეთილსინდისიერების ქვეშ ვგულისხმობთ შემდეგს:

- პირი კეთილსინდისიერია, თუ ის საქმიანობას ახორციელებს კომპეტენტურად და პატიოსნად და სრულად.

- პროცესი კეთილსინდისიერია, თუ ის მიმდინარეობს შემუშავებული გეგმის შესაბამისად და ადვილად ერგება იმ სისტემას, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

- ორგანიზაცია კეთილსინდისიერია, თუ მისი საქმიანობა ხორციელდება სათანადო ანგარიშვალდებულებით, კომპეტენტურად, სრულად და არ ხდება მისი პროდუქტის, ან რესურსების გადამისამართება კორუფციული, ან არაკეთილსინდისიერი მიზნებით.

კორუფცია

კორუფცია არის ,,მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით."

თითოეულ ქვეყანას გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური განსაზღვრება. მაგალითად, უკრაინაში ეს ცნება ფორმულირებულია შემდეგნაირად: ,,სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილების მქონე (ფიზიკური, ან იურიდიული) პირის უკანონო მოქმედება, ან უმოქმედობა, რომელიც მიმართულია თავისთვის, ან სხვა პირთათვის, ან ჯგუფებისათვის ნებისმიერი სახის

1 შესაბამისად "Integrity" ითარგმნება ქართულ ენაზე როგორც „სიმრთელე" და „კეთილსინდისიერება".

უპირატესობის, სარგებლის, გავლენების, მატერიალური, თუ არამატერიალური პრივილეგიების უკანონოდ მოპოვებაზე.“ პაკისტანში არსებული განმარტების შესაბამისად, ,,კორუფცია მოიცავს საჯარო და კერძო სექტორში უფლებამოსილი პირების ქცევას, რა დროსაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მეშვეობით ხდება მათი, ან მათთან დაახლოებულ პირთა უმართებულოდ და უკანონოდ გამდიდრება, ან სხვა ადამიანების მსგავსი ქცევის წაქეზება “ (პაკისტანის მთავრობა, 2002).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნების სხვა მრავალი განსაზღვრება არსებობს, გამოცდილება გვკარნახობს, რომ ადამიანების უმრავლესობამ იცის, რას ნიშნავს კორუფცია, მაშინაც კი, როდესაც მისი ოფიციალური განმარტება არ არსებობს. მაგალითად, გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია, რომელიც ამ საკითხზე მთავარ საერთაშორისო შეთანხმებას წარმოადგენს, არ შეიცავს კორუფციის ოფიციალურ დეფინიციას; სამაგიეროდ ის სრულყოფილად აყალიბებს საჯარო მოხელის ცნების შემადგენელ ელემენტებს.

უფრო მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ თავდაცვის სფეროში სხვადასხვა ტიპის კორუფცია არსებობს. რისკების საწინააღმდეგოდ გამოყენებული ღონისძიებები მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, როდესაც სწორად იქნება გაგებული პრობლემის რომელი კონკრეტულ ასპექტისაკენ არის მიმართული ეს ღონისძიებები. წინამდებარე კითხვარი სწორედ ამ ასპექტების უკეთ შეცნობაში გვეხმარება.

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

კითხვარი

1. დემოკრატიული კონტროლი და ჩართულობა

1. აღწერეთ პარლამენტის როლი თავდაცვის უწყებაზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში, მათ შორის თავდაცვის კომიტეტის ფუნქციები, სადაზვერვო სამსახურების ზედამხედველობისა და შემოწმების და თავდაცვის სამინისტროში მთავარ თანამდებობებზე დანიშვნის პროცესები.

გამოსაკვლევი საკითხები:

- პარლამენტის უფლებამოსილება თავდაცვის პოლიტიკის განხორციელებასა და მაღალი დონის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- თავდაცვის კომიტეტის წევრობა, კომპეტენციები და საექსპერტო უზრუნველყოფა.
- თავდაცვის კომიტეტის მიერ კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელებაში ქალთა ჩართულობის დონე.
- თავდაცვის უწყებაში კორუფციასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები (მაგალითად პოლიტიკურ, სამხედრო დონეზე და საჯარო მოსამსახურეებს შორის).

2. აღწერეთ თავდაცვის ფუნქციების განმახორციელებელი სხვა უწყებები თქვენს ქვეყანაში, როგორებიცაა ეროვნული გვარდია, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული ძალები, სადაზვერვო სამსახურები, და საზღვრის დაცვის სამსახურები. ექვემდებარებიან, თუ არა ისინი საპარლამენტო კონტროლსა და შემოწმებას? როგორ ხორციელდება ეს პროცესი? მთავრობაში ვის მიმართ არიან ისინი ანგარიშვალდებულები? რა ურთიერთობა აქვთ მათ თავდაცვის სამინისტროსთან?

გამოსაკვლევი საკითხები:

- აღნიშნულ ძალებთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულის პრობლემები.
- ამ ძალების დამოუკიდებლობა (ანდა დამოუკიდებლობის არ არსებობა).
- კერძო სამხედრო კონტრაქტორები - მათი ურთიერთობები თავდაცვის სამინისტროსთან, საქმიანობის კონტროლისა და შემოწმების და აუდიტის საკითხები.

რეკომენდაცია: სასურველია კითხვარში თავდაცვითი ფუნქციების განმახორციელებელი სხვა უწყებების მიერ გაცემული პირდაპირი პასუხების შეტანა

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

3. დაახასიათეთ თქვენი ქვეყნის ეროვნული თავდაცვის პოლიტიკა, მათ შორის პარლამენტის და თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის როლი ამ პოლიტიკის შემუშავებაში. თუკი არსებობს ოფიციალური თავდაცვის პოლიტიკა, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ან სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს თავდაცვის პოლიტიკას მიუთითეთ მასზე. როგორ ხდება თავდაცვის პოლიტიკის გამოქვეყნება და როგორ ხორციელდება მის შესახებ საზოგადოების ინფორმირება?

გამოსაკვლევი საკითხები:

- თავდაცვასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის მარეგულირებელი კანონმდებლობა.
- თავდაცვის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტების ხელმისაწვდომობა და საჯარო წვდომა.

4. აღწერეთ თავდაცვის სამინისტროს ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის მედიასა და არასამთავრებო ორგანიზაციებთან. როგორ და რა სიხშირით ხორციელდება მათთან კონსულტაციები, ან მათი ინფორმირება თავდაცვის სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით?

გამოსაკვლევი საკითხები:

- სამოქალაქო საზოგადოების აზრი თავდაცვის უწყების კეთილსინდისიერების შესახებ.
- მედიის აზრი თავდაცვის უწყების კეთილსინდისიერების შესახებ.
- სხვა ზოგადი მოსაზრებები თავდაცვის უწყების შესახებ (დადებითი ან უარყოფითი).

2. ეროვნული ანტიკორუფციული კანონმდებლობა და პოლიტიკა

1. როგორ გამოიყენება საერთაშორისო ანტიკორუფციული მექანიზმები თქვენს ქვეყანაში მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად?

გამოსაკვლევი საკითხები:

- ანტიკორუფციული საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების რატიფიკაცია და მათი აღსრულება (მაგალითად გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კონვენცია უცხოელი საჯარო მოხელეების მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ევროსაბჭოს კონვენციები).

- მონიტორინგის მექანიზმები, როგორიცაა ევროსაბჭოს GRECO-ს (კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ქვეყნების ჯგუფი) შეფასებები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მექრთამეობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციით გათვალისწინებული მონიტორინგის მექანიზმები.

- ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა მსოფლიო ბანკის ინსტიტუტის კორუფციის კონტროლის ინდექსი, ან საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსი.

2. რა ძირითად მეთოდებს მიმართავენ და რომელი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ თქვენს ქვეყანაში კეთილსინდისიერების ამაღლებასა და კორუფციის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას?

გამოსაკვლევი საკითხები:

- ეროვნული პოლიტიკა, ანტიკორუფციული სტრატეგია, კანონმდებლობა, და პროცედურები.

- სისხლისსამართლებრივი დევნისა და პრევენციის ინსტიტუტები, როგორიცაა ანტიკორუფციული სააგენტოები, სამართალდამცავი ორგანოები, ეთიკის ბიუროები, აუდიტის დანაყოფები, მარეგულირებელი ჯგუფები და ა.შ.

- სისხლისსამართლებრივი დევნისა და პრევენციის ღონისძიებების კოორდინაცია.

3. მოკლედ აღწერეთ მექრთამეობის, ან კორუფციის ნებისმიერი გახმაურებული საქმე ბოლო სამი წლის განმავლობაში, რომელზედაც განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა და შეფარდებული იქნა სანქციები.

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

3. ანტიკორუფციული პოლიტიკა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში

1. თქვენი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რომელ სფეროებშია კორუფციისა და მექრთამეობის ყველაზე მაღალი რისკი (მაგალითად წვრილმანი მექრთამეობა, ხარჯები, მივლინებები, დანიშვნები, და ა.შ)?

გთხოვთ ჩამოთვალოთ 6 ყველაზე მაღალი რისკის შემცველი სფერო.

გამოსაკვლევი საკითხები:

- როგორ განსაზღვრავთ უმაღლესი რისკის სფეროებს? შესწავლილია, თუ არა მამაკაცებისაგან რამდენად განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს კორუფციის უმაღლესი რისკის შემცველი სფეროები ქალებზე?
- როგორ ხორციელდება ამ სფეროებში პოტენციური მექრთამეობისა და კორუფციის რისკების შემცირება? აღწერეთ მოქმედი მექანიზმები.
- რა სანქციები გამოიყენება პირადი შემადგენლობის წევრების მიმართ, თუ გამომჟღავნდება, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ მექრთამეობისა და კორუფციის აღნიშნულ 6 ყველაზე მაღალი რისკის შემცველ სფეროებში?

2. აღწერეთ რამდენად მაღალია ვალდებულების ხარისხი თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში თავდაცვის მინისტრისა და გაერთიანებული შტაბის უფროსის მიერ დეკლარირებული კეთილსინდისიერების უზრუნველყოფისა და კორუფციის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების მიმართ. როგორ ხდება მათი პოლიტიკისა და მართვის პროცესის გაჟღერება უწყების ფარგლებში?

გამოსაკვლევი საკითხები:

- არსებობს თუ არა ოფიციალური განცხადება კეთილსინდისიერების, ან ანტიკორუფციული პოლიტიკის თაობაზე?
- ხდება თუ არა თავდაცვის მინისტრის და გაერთიანებული შტაბის უფროსის მხრიდან კეთილსინდისიერების საკითხების საჯაროდ განხილვა? თუ ხდება აღწერეთ როგორ?
- როგორია თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში კეთილსინდისიერებისა და კორუფციის რისკების საკითხების შესახებ გათვითცნობიერების დონე? შესწავლილი იქნა, თუ არა იგი შესაბამისი კვლევების მეშვეობით?
- მოიყვანეთ პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც ახდენს კეთილსინდისიერების უზრუნველყოფისა და ანტიკორუფციული კურსისადმი ერთგულების დემონსტრირებას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში.

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

3. ხორციელდება, თუ არა თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში რაიმე ოფიციალური პოლიტიკა, სტრატეგია, ან სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართულია კეთილსინდისიერებისა და კორუფციის საკითხებზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ აღწეროთ ამ პოლიტიკის, თუ სტრატეგიის მიზნები, პრიორიტეტები და შესაბამისი მიმდინარე ძირეული რეფორმები.

4. ანტიკორუფციული პოლიტიკის, სტრატეგიის, ან სამოქმედო გეგმის არსებობის შემთხვევაში, ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნულის აღსრულებაზე?

გამოსაკვლევი საკითხები:

- ვის ევალება აღსრულებაზე პასუხისმგებლობა, კონკრეტულ დეპარტამენტს, თუ პირს?
- რამდენად ეფექტურია ეს პროცესი?

5. რომელი ინსტიტუტების საქმიანობის მიზანია კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია თავდაცვის სექტორში? აღწერეთ უახლესი წარმატებული მაგალითები.

გამოსაკვლევი საკითხები:

- რა როლი ეკისრებათ ანტიკორუფციულ და ეთიკის მრჩევლებს, გარე და შიდა აუდიტორებს, გენერალურ ინსპექციებს, პროკურორებს, და ა.შ?
- როგორია ამ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის ხარისხი და გამოცდილების ურთიერთგაცვლის დინამიკა?
- რა მტკიცებულებებით დასტურდება სამხედროების მიმართ არსებული ნდობის ხარისხი სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან შედარებით? მაგალითად, როგორია ,,სამხედროების“ შესახებ ცნობიერების დონე ისეთი ეროვნული და საერთაშორისო საზომით, როგორიცაა „საერთაშორისო გამჭვირვალობის გლობალური კორუფციის ბარომეტრი“?

6. აღწერეთ არსებული მეთოდები და მოქმედი პროცედურები, რომელიც კორუფციის ფაქტების შეტყობინების შესაძლებლობას აძლევს თავდაცვის სამინისტროს (სამხედრო და სამოქალაქო) თანამდებობის პირებს და შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას.

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

გამოსაკვლევი საკითხები:

- ხდება, თუ არა თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების წახალისება, რათა მათ მიერ მოხდეს შესაძლო კორუფციული გამოვლინებების შეტყობინება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ აღწეროთ როგორ ხორციელდება აღნიშნული.
- არსებობს, თუ არა მამხილებლებისათვის განკუთვნილი ,,ცხელი ხაზები" მექრთამეობისა და კორუფციის შესახებ შეტყობინების მიზნით?
- მამხილებელთა რა დაცვის მექანიზმები არსებობს, რამდენად გამართულად მუშაობს ეს მექანიზმები, რამდენად გავრცელებულია მათი გამოყენება? როგორია ამ პროცედურების შესახებ ცნობიერების დონე?
- მიმართავენ, თუ არა სექტორში დასაქმებული ქალები იმ კორუფციული გამოვლინებების შესახებ შეტყობინებას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათზე, ან სხვებზე და მოქმედებს, თუ არა კონკრეტული დაცვის მექანიზმები?
- როგორია მედიის როლი სავარაუდო კორუფციული საქმეების გამოვლენაში?

4. პერსონალი – ქცევა, პოლიტიკა, სწავლება, დისციპლინა

პერსონალის ქცევის სტანდარტები

1. აღწერეთ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების (სამხედროები, საჯარო მოსამსახურეები და დასაქმებული სამოქალაქო პირები) ქცევის კოდექსი, მათ შორის მიუთითეთ კორუფციის რისკების რომელ სფეროებს მოიცავს იგი. გთხოვთ დაურთოთ შესაბამისი დოკუმენტები.

გამოსაკვლევი საკითხები:

- რომელი რეგულაციები ვრცელდება ქრთამის აღებაზე, საჩუქრის მიღებასა და გამასპინძლებაზე, ინტერესთა კონფლიქტზე, სამსახურიდან დათხოვნის შემდგომ საქმიანობაზე და ა.შ?
- როგორ ხდება ქცევის კოდექსის გავრცელება?
- ხდება, თუ არა ამ რეგულაციების გამყარება ეთიკისა, თუ ღირებულებების კოდექსით და თუ ასეა, როგორ ეცნობება ეს ინფორმაცია და როგორ ხდება მისი ასახვა?
- ქცევის კოდექსის მხარდაჭერის და კონტექსტთან შეჯერების რა წესები არსებობს?
- არსებობს, თუ არა განსხვავება სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ ქცევის წესებს შორის, თუ ყველა ტიპის მოსამსახურეებისათვის ერთი და იგივე წესები მოქმედებს?
- ექცევა, თუ არა სპეციალური ყურადღება სენსიტიურ თანამდებობებზე მომუშავეებს, მაგალითად თავდაცვის შესყიდვების, ან ფინანსური/კომერციული მენეჯმენტის სფეროებში?

2. გთხოვთ, დეტალურად დაახასიათოთ როგორია რეაგირების ფორმები ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში და ვინ ახორციელებს მას. მოკლედ აღწერეთ თქვენი ქვეყნის მაგალითზე ბოლო ორი წლის განმავლობაში წარმოებული სამი საყურადღებო საქმე. ყოფილა, თუ არა ისეთი ქცევის კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებული საქმეები, რომლებიც მოიცავდა ქალთა მიმართ ძალადობის, ან მათი ექსპლუატაციის ფაქტებს?

3. გთხოვთ მოკლედ აღწეროთ პერსონალის შეფასების პროცესი, მათ შორის ანგარიშების მომზადების სიხშირე, დეტალური შესწავლის/უკუკავშირის პროცესი და პირად კეთილსინდისიერებასა და პოლიტიკურ აქტივობასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეაგირების თავისებურებები

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

გამოსაკვლევი საკითხები:

- თანამდებობაზე დანიშვნის მერიტოკრატია - როგორ ხდება ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, როგორია ,,ფავორიტიზმის“ ხარისხი და ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში, როგორ გავლენას ახდენს ეს ქალთა სამსახურში აყვანისა და დაწინაურების პროცესზე, და ა.შ.
- კლასიფიცირებულია, თუ არა დაწინაურებების შესახებ მონაცემები გენდერული ნიშნით?
- ტარდება, თუ არა პერსონალისთვის რეგულარული ,,ანტიკორუფციული“ სწავლებები?
- შედის თუ არა კეთილსინდისიერების შესახებ ტრენინგები სამხედრო სკოლებისა და უნივერსიტეტების სამხედრო-სასწავლო პროგრამებსა და სამხედრო წვრთნების პროგრამაში?
- როგორია სენსიტიურ თანამდებობებზე როტაციის სიხშირე და მამაკაცთა/ქალთა პროპორცია ასეთი როტაციისას?
- როგორ ხდება პერსონალის მიერ შეთავაზებული კორპორატიული მასპინძლობის ღონისძიებების დეკლარირება (მათ შორის მოგზაურობა, გართობა, ხარჯების ანაზღაურება და ა.შ)?

შრომის ანაზღაურება

4. აღწერეთ ხელფასებისა და სხვა შემოსავლის გაცემის მექანიზმები, და აღნიშნეთ გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და აუდიტის რა მეთოდები გამოიყენება რეგულარულად, ასევე მიუთითეთ აუდიტის შედეგების გამოქვეყნების პროცედურები.

გამოსაკვლევი საკითხები:

- ზუსტად არის, თუ არა ცნობილი სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა, რომლებზეც მოხდება ანაზღაურების გაცემა და ღებულობენ, თუ არა ისინი ანაზღაურებას დადგენილი ოდენობით და დადგენილ დროს?
- ქვეყნდება, თუ არა თქვენს ქვეყანაში სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა სახელფასო განაკვეთები?
- გაიცემა, თუ არა სამოქალაქო და სამხედრო პენსიები დროულად და დადგენილი ოდენობით?
- ხდება, თუ არა ხელფასების შესახებ მონაცემების დამუშავება გენდერული ნიშნით?

- გამოყოფილია, თუ არა სამხედრო იერარქია ხელფასების გაცემის პროცესის მწარმოებელი სამსახურისაგან?

ანტიკორუფციული პოლიტიკის და რეგულაციების დარღვევები

5. აღწერეთ კორუფციულ შემთხვევებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და სამხედრო პირების, სამოქალაქო მოსამსახურეებისა და ტენდერებში მონაწილე კომპანიების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული პროცედურები.

გამოსაკვლევი საკითხები:

- რამდენად აქტიურია აღნიშნული პროცესი?
- რა როლს თამაშობენ ამ პროცესში სამხედრო სასამართლოები და საჯაროა, თუ არა მათი საქმიანობა?
- მომხდარა, თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა ისეთ კორუფციულ შემთხვევებზე, რომელიც მოიცავდა ქალებისათვის საზიანო უკანონო, ან ეთიკის საწინააღმდეგო ქცევას?

6. დეტალურად აღწერეთ რამდენად ხშირად ჰქონია ადგილი ბოლო სამი წლის განმავლობაში თქვენს ქვეყანაში თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების პერსონალის წინააღმდეგ ქრთამის აღებისა, თუ კორუფციული სამართალდარღვევის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, ან შიდაუწყებრივი ღონისძიებების გატარებას. მიუთითეთ, გასაჯაროვდა, თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებები ამ საქმეებზე და დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ იქნა უზრუნველყოფილი მათი გასაჯაროება.

7. აღწერეთ რამდენად ხშირად ჰქონია ადგილი ბოლო სამი წლის განმავლობაში თქვენს ქვეყანაში თავდაცვითი საწარმოების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას.

8. დაახასიათეთ ეროვნული აუდიტის სამსახურის, თუ ანტიკორუფციული საგენტოების მიერ თავდაცვის უწყებაში წარმოებული პროცედურების ზედამხედველობის განხორციელების თავისებურებები თქვენს ქვეყანაში.

9. იმ შემთხვევაში თუ ეროვნული უსაფრთხოების რეგლამენტი ითვალისწინებს კორუფციულ ფაქტებზე დაწყებული გამოძიების შეჩერებას, აღწერეთ შესაბამისი პროცედურები, რომელთა დაცვა აუცილებელია ამ პროცესის დასასაბუთებლად.

5. დაგეგმვა და ბიუჯეტი

შესყიდვების დაგეგმვა

1. მოკლედ აღწერეთ თქვენს ქვეყანაში მოქმედი შესყიდვების დაგეგმვის პროცესი, მათ შორის დაგეგმვის ციკლი და მასში ჩართული ძირითადი პერსონალი და დეპარტამენტები.

2. აღწერეთ თქვენი ქვეყნის თავდაცვის შესყიდვების განხორციელების მთავარი კრიტერიუმები (მაგალითად ეროვნულ დონეზე ოპერატიული მოთხოვნები, ნატოს მოთხოვნები, ტექნოლოგიური გაუმჯობესება. და ა.შ).

ბიუჯეტი

3. დაახასიათეთ პარლამენტისათვის თავდაცვის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის პროცესი, მათ შორის ხარჯვითი ნაწილის ძირითადი მიმართულებები და მათი შერჩევის კრიტერიუმები. მიმდინარეობს, თუ არა საპარლამენტო დებატები აღნიშნულთან დაკავშირებით? ყოველწლიურად ქვეყნდება, თუ არა თავდაცვის ბიუჯეტი?

4. ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული საბიუჯეტო ასიგნებების გარდა, რა არის თავდაცვის სფეროს შემოსავლის სხვა ძირითადი წყაროები, მათ შორის ჭარბი აღჭურვილობის, ქონებისა და სხვა აქტივების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავლები?

5. როგორია თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის საჯარო განხილვების პროცესი და აშუქებს, თუ არა მათ მედია რეგულარულად?

6. დეტალურად ქვეყნდება, თუ არა თავდაცვის სამინისტროს ფაქტობრივი ბიუჯეტი და წინა წლის ხარჯვის მაჩვენებლები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორია მათი დეტალიზაციის ხარისხი? რამდენად ხშირია ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების მეტობა ბიუჯეტით გათვალისწინებულზე? მზადდება, თუ არა წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ანგარიში, დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა სიხშირით?

7. აღწერეთ თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ხარჯების აუდიტის პროცესი, მათ შორის აუდიტის ციკლი, შედეგების გამოქვეყნება, პარლამენტის, ან სხვა უწყებების მიერ განხორციელებული ზედამხედველობა. ხორციელდება, თუ არა მსხვილი პროექტების აუდიტი განცალკევებულად? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ ახსნათ მიზეზები.

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

აქტივების განკარგვა, ლიკვიდაცია და იჯარით გაცემა

8. აღწერეთ აქტივების განკარგვის, მათი ლიკვიდაციისა და სხვა პირებზე იჯარით გაცემის პროცესები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების მითითებით.

გამოსაკვლევი საკითხები:

- აქტივებთან, მათ შორის აღჭურვილობასთან, ქონებასთან, ჯართთან და ა.შ. დაკავშირებული პროცედურები.
- ჭარბი ქონების შეფასებისა და გასხვისების მართვის პროცესი და მისი კეთილსინდისიერების უზრუნველმყოფი ღონისძიებები.
- აისახება, თუ არა ყოველწლიურად თავდაცვის სამინისტროს ანგარიშებში ქონების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავლები? რომელი ორგანიზაცია ღებულობს ამ შემოსავლებს და რა მიზნით შეიძლება მათი გამოყენება?

6. ოპერაციები

1. არსებობს თუ არა სამხედრო დოქტრინა, რომელიც ითვალისწინებს კორუფციის საკითხებს მშვიდობიან დროს და კონფლიქტების პერიოდში? არსებობს თუ არა სამხედრო დოქტრინა, რომელიც ითვალისწინებს კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირების ფორმებს, როგორც სტრატეგიულ დონეზე მისიის მეთაურებისთვის, ასევე საველე პირობებში?

2. არიან, თუ არა ყველა დონის მეთაურები გათვითცნობიერებულები იმ კორუფციულ პრობლემებში, რომლებსაც ისინი შეიძლება წააწყდნენ დისლოცირების დროს?

გამოსაკვლევი საკითხები:

- გაიარეს, თუ არა ყველა დონის მეთაურებმა სწავლება?
- არსებობს, თუ არა სტრატეგიული დონის სახელმძღვანელო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?
- მოქმედებს, თუ არა ზედამხედველობის მექანიზმები?
- ხელმისაწვდომია, თუ არა სასწავლო მოდულები?

3. როგორ ხდება კორუფციული რისკების შემცირება კონფლიქტურ გარემოში დაჩქარებული და რუტინული შესყიდვების პროცედურების (მათ შორის ადგილობრივი კონტრაქტების და შესყიდვების) განხორციელებისას? არსებობს, თუ არა დაჩქარებული წესით შესყიდვის განხორციელების პროცედურები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ხდება, თუ არა მათი შესწავლა კორუფციის რისკების თვალსაზრისით?

4. 4.ითვალისწინებს, თუ არა ორგანიზაცია, რა სახის კორუფციული პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს იგი დისლოცირების დროს?

გამოსაკვლევი საკითხები

- არსებობს, თუ არა გზამკვლევი ამ საკითხთან დაკავშირებით?
- არსებობს, თუ არა საველე პირობებში მყოფი სამხედრო დანაყოფებისათვის (ეროვნული, კოალიციური, ადგილობრივი) და ადგილობრივი უწყებებისათვის (მათ შორის პოლიცია, სასამართლო და ადგილობრივი თვითმმართველობა) განკუთვნილი დასაშვები ქცევის მკაფიოდ განსაზღვრული სახელმძღვანელო წესები?
- მოქმედებს, თუ არა ზედამხედველობის მექანიზმები?
- ხელმისაწვდომია, თუ არა სასწავლო მოდულები?
- არსებობენ, თუ არა პროფესიონალები, როგორებიც არიან სამხედრო აუდიტორები, რომლებსაც შესწევთ უნარი განახორციელონ კორუფციის რისკების მონიტორინგი საველე პირობებში? გაიარეს, თუ არა მათ მომზადება? ითვალისწინებენ, თუ არა საოპერაციო გეგმები მათი მისიაში მონაწილეობას?

7. შესყიდვები

შესყიდვები - კანონმდებლობა

1. აღწერეთ და ჩამოვათვალეთ თქვენს ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტები, რომელიც არეგულირებს შესყიდვების პროცესს კონკრეტულად თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში.

2. გამოყავით ნებისმიერი საქონლის, ან მომსახურების შესყიდვის საგამონაკლისო წესები (შესაბამისი დასაბუთებით), რომლებზეც არ ვრცელდება შესყიდვების ზოგადი კანონმდებლობა.

შესყიდვები - ორგანიზაცია და რეფორმები

2. მოკლედ აღწერეთ, ვინ არის პასუხისმგებელი თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში შესყიდვების განხორციელებაზე. შესყიდვები ხორციელდება ცენტრალიზებული შესყიდვების სამსახურის მიერ, თუ ცალ-ცალკე შეიარაღებულ ძალებში და სამინისტროში?

4. აღწერეთ თავდაცვის შესყიდვების მთლიანი ციკლი დაწყებული საჭიროებების კვლევიდან კონტრაქტების განხორციელების ჩათვლით (მათ შორის სხვადასხვა სამინისტროებისა, თუ დეპარტამენტებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა), სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების მითითებით.

5. აღწერეთ შესყიდვების განხორციელების პროცესზე ზედამხედველობის სისტემა, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით.

გამოსაკვლევი საკითხები

- როგორია სენსიტიურ თანამდებობებზე მომუშავე მოსამსახურეების როტაციის წესები?

- ოფიციალურად დადასტურებული ჩვეულებრივი ხელფასის გარდა მიღებული ქონებისა, თუ საჩუქრების დეკლარირების რა მოთხოვნები არსებობს?

- რა მოთხოვნები არსებობს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ დეკლარაციის წარდგენასთან დაკავშირებით - ეხება, თუ არა ისინი ყველა დონის წოდების პირს?

- წარმოადგენს, თუ არა შესყიდვების ფუნქცია პერიოდული, ან არაგეგმიური შემოწმების საგანს კეთილსინდისიერებისა და ეთიკის წესების დაცვის მხრივ?

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

შესყიდვები – სატენდერო საბჭოები, აღჭურვილობის/მომსახურების სპეციფიკაციები, სატენდერო პროცესები

6. გამოყავით შესაძენი აღჭურვილობის სპეციფიკაციების განსაზღვრის მექანიზმები, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესები.

7. აღწერეთ პროცესი, რომელიც უკავშირდება ,,ოპერაციისთვის მნიშვნელოვანი“ და ,,ერთ პირთან მოლაპარაკების“ საფუძველზე შესყიდვების განხორციელების გადაწყვეტილებას და მიუთითეთ თითოეულის პროცენტული (რიცხვი და ღირებულება) მაჩვენებელი ჩვეულებრივი შესყიდვების ციკლთან შედარებისას.

გამოსაკვლევი საკითხები

- გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები;
- როგორია თქვენს ქვეყანაში ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე (ან უტენდერო) თავდაცვის შესყიდვების პროცენტული მაჩვენებელი?
- სპეციფიკაციების ერთ მომწოდებელზე მორგების თავიდან აცილების რა მექანიზმები არსებობს?
- შემზღუდავი კანონმდებლობა.
- შესყიდვების ტენდერების მონაწილეთა შედარების რაიმე შიდასაუწყებო მოხმარების სისტემები (თუკი ასეთი არსებობს).

8. აღწერეთ სატენდერო საბჭოების შემადგენლობა, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მუშაობის მექანიზმები

გამოსაკვლევი საკითხები

- აღრიცხვიანობის წარმოების მოცულობა და მოთხოვნები.
- სატენდერო საბჭოს წევრების სამუშაო გამოცდილებისა და ტრენინგების მოთხოვნები.
- სატენდერო საბჭოს წევრთა ქცევის კოდექსი და რეგულაციები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების მითითებით.
- გენდერული ბალანსის დაცვის მოთხოვნის არსებობა, ან ასეთი მოთხოვნის არარსებობა.

9. აღწერეთ ყველა შესყიდვის/შეძენის გეგმის (როგორც საიდუმლო, ასევე საჯარო სახის) გამოქვეყნების პროცედურები.

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

გამოსაკვლევი საკითხები

- მიუთითეთ რაოდენობისა და ღირებულებების მიხედვით თავდაცვის პოტენციური შესყიდვების რა წილის გამოქვეყნება ხდება?

10. აღწერეთ შესყიდვების პროცესი, გამოყავით სისტემის საერთო ძლიერი და სუსტი მხარეები.

გამოსაკვლევი საკითხები

- შესყიდვის პროცედურების შედეგების შესწავლა და შეფასება.
- კონტრაქტის მინიჭება.
- კონტრაქტის შესრულების შემდგომი მექანიზმები.
- მონაწილე პირთა ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის დეკლარირება.
- აუდიტის პროცედურები.
- შესყიდვის განსაკუთრებულად მაღალი ღირებულების შემთხვევაში, გამოიყენება, თუ არა კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის პროცედურა/საკონტროლო კითხვარი? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ იგი.
- როგორია ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებული კონტრაქტების ხვედრითი წილი და როგორია ელექტრონული ტენდერის პროცედურა?

11. აღწერეთ შესყიდული საქონლისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის განსაზღვრის მექანიზმები და გამოყავით სპეციფიკაციებთან ხარისხის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედი პროცედურები.

შესყიდვები - სპეციალური საკითხები

12. აღწერეთ შესყიდვების ციკლში ,,აგენტებისა“ და ,,შუამავლების“ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და მათი კეთილსინდისიერების დადასტურების მექანიზმები და გამოყავით ასეთი მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეები.

გამოსაკვლევი საკითხები

- აგენტების შემოწმების პროცედურები.
- შესაბამისი ქცევის წესები ასეთი აგენტების გამოყენებისას.

შესყიდვები - სპეციალური საკითხები

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის დაწესებულებებში

12. აღწერეთ შესყიდვების ციკლში ,,აგენტებისა“ და ,,შუამავლების“ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და მათი კეთილსინდისიერების დადასტურების მექანიზმები და გამოყავით ასეთი მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეები.

გამოსაკვლევი საკითხები

- აგენტების შემოწმების პროცედურები.
- შესაბამისი ქცევის წესები ასეთი აგენტების გამოყენებისას.

13. აღწერეთ როგორ ხდება ურთიერთჩათვლების გამოყენება, თუკი ასეთი რამ არსებობს შესყიდვების პროცესში.

გამოსაკვლევი საკითხები

- რა მოთხოვნებია დაწესებული ურთიერთჩათვლების გამოყენებისათვის თქვენს ქვეყანაში?
- ურთიერთჩათვლების შეთავაზებების შესწავლა და შეფასება შესყიდვების პროცესში.
- ურთიერთჩათვლების შეფასება და მონიტორინგი კონტრაქტის მინიჭების შემდგომ.
- აღწერეთ კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ურთიერთჩათვლების გამოყენებასთან დაკავშირებული კორუფციული რისკების შემცირებას

8. ურთიერთქმედება თავდაცვით საწარმოებსა და სხვა მიმწოდებლებთან

შესყიდვები - კანონმდებლობა

1. აღწერეთ, თუ რა მექანიზმებს იყენებენ სამინისტროები, ან სხვა საჯარო დაწესებულებები (განსაკუთრებით შესყიდვის განმახორციელებელი სამსახურები) კომერციულ კომპანიებთან ურთიერთქმედებისა და შესაბამისად, მათ მიმართ გადახდების განხორციელებისთვის ამ პროცესების ძლიერი და სუსტი მხარეების მითითებით.

2. დაასახელეთ, თუ რა ღონისძიებებს ითვალისწინებს თავდაცვის სამინისტრო, რათა გამოიყენოს კომერციული კომპანიები შესყიდვების პროცესში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული სტანდარტების განმტკიცებისთვის და მიუთითეთ ასეთი ღონისძიებების შედეგები.

3. მოეთხოვებათ, თუ არა შესყიდვებში მონაწილე კომპანიებს ჰქონდეთ ეთიკის კოდექსი, როგორც შესყიდვაში მონაწილეობის წინაპირობა? აღწერეთ რა პროცედურები და მექანიზმები გამოიყენება იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც არ იცავენ, ან არ ინარჩუნებენ ამ სტანდარტებს.

გამოსაკვლევი საკითხები

- ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არსებობს, თუ არა განსხვავებები ადგილობრივი და უცხოური კომპანიების მიმართ მოპყრობის მხრივ.
- კომპანიების რეპუტაციის შესწავლის პროცედურები.
- შავ სიაში შეტანის, შესყიდვებში მონაწილეობის უფლების წართმევის და ამ უფლების დროებით შეჩერების პროცედურები და მათ განხორციელებასა და განახლებაზე პასუხისმგებელი პირები.

4. როგორია თქვენს ქვეყანაში კომპანიების ინფორმირების პროცედურა დაგეგმილი შესყიდვების შესახებ?

გამოსაკვლევი საკითხები

- შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების ციკლები და შესაბამისი დოკუმენტაცია.
- არსებობს, თუ არა განსხვავებები უცხოური და ადგილობრივი კომპანიების ინფორმირების პროცედურებში.

5. აღწერეთ თქვენს ქვეყანაში მოქმედი მექანიზმები და პროცედურები, რომელიც აძლევს კომპანიებს შესაძლებლობას შეიტანონ საჩივრები შესყიდვების სისტემაში შესაძლო დარღვევების შესახებ, ასევე მოიყვანეთ წინა საჩივრებისა და მათი განხილვის შედეგების მაგალითები.

9. ეროვნულ თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები

კითხვარის ეს ნაწილი შეუვსებელი რჩება იქამდე, სანამ ქვეყანა ახორციელებს კეთილსინდისიერების თვითშეფასებას. ნატოს ხელმძღვანელობით მოქმედი ჯგუფი, რომელიც ადმინისტრირებას უწევს კეთილსინდისიერების თვითშეფასების პროცესს, თავად შეავსებს ამ ნაწილს შესაბამის დროს.

დამატებითი ინფორმაცია

ნატოს კეთილსინდისიერების თვითშეფასების პროცესის ამაღლებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მიმართოთ:

ქალბატონი ბენედიქტ ბორელი

კეთილსინდისიერების ამაღლების ჯგუფის ხელმძღვანელი

თავდაცვის ინტიტუტებისა და აღმშენებლობის დირექტორატი

ოპერაციების განყოფილება

ნატოს შტაბ-ბინა, ბრიუსელი

ელ-ფოსტა: borel.benedicte@hq.nato.int

ელ-ფოსტა: building-integrity@hq.nato.int

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად, ეწვიეთ:

ნატოს ვებ-გვერდს კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებთან დაკავშირებით: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_68368.htm

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ვებ-გვერდს: https://buildingintegrity.hq.nato.int/

LinkedIn: NATO Building Integrity

0002-21 NATO GRAPHICS & PRINTING